# გარეჯის მაცნე



მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №9 2011 წ. 1-15 ოქტომბერი ფასი 50 თეთრი


## საკრებულოს სხდომა



მეორე გვერდი

## სკოლამდელი აღზრდისა და სკოლისგარეშე მუშაობის დაწესებულებაში



მესამე გვერდი

## გემის კაპიტანი



მეექვსე გვერდი

# დანიშვნა:

## შალვა ჯაბადარი – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის ახალი მოადგილე



მიმდინარე წლის 20 სექტემბრიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ შალვა ჯაბადარი დაინიშნა.

შალვა ჯაბადარი 1967 წელს დაიბადა ქ. საგარეჯოში. 1985 წელს დაამთავრა საგარეჯოს №1 საჯარო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის (მაშინდელი ინსტიტუტის) საავტომობილო-საგზაო ფაკულტეტზე. 1985-87 წლებში კი გაიარა სამხედრო-სავალდებულო სამსახური. 1998-1999 წლებში მუშაობა დაიწყო ქალაქ საგარეჯოს გამგებლის პირველ მოადგილედ. 2006 წლიდან კი საგარეჯოს რაიონის გამგეობის ეკონომიკური განყოფილების მთავარი სპეციალისტია. 2009 წლიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსია, 2011 წლიდან მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ დანიშვნამდე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მშენებლობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსია.

ჰყავს მეუღლე – ცისმარი პეტრიაშვილი – ექიმი-თერაპევტი და ერთი შვილი – ანი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეორეკურსელი.

ბატონ შალვასთან საუბარი საქმიანი გამოდგა – მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ყველა სარეაბილიტაციო თუ სამშენებლო სამუშაოები., რაც ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის ხაზით კეთდება ზეპირად იცის ყველა სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული პროექტი, სახელმწიფო დაფინანსებით თუ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით მიმდინარე. ერთი სიტყვით მას ამ პოსტზე მოსვლის დღიდანვე არ დასჭირვებია შესაბამისი „აკლიმატიზაციის“ გავლა. სწორედ მისი უშუალო ხელმძღვანელობით მოხდა ჯერ ზედამხედველობის სამსახურის, შემდეგ მშენებლობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის შექმნა-ჩამოყალიბება.

– სამსახურის შემდეგ თავისუფალი დრო თითქმის აღარ მრჩებაო, – როცა ჰობის შესახებ დავუწყე საუბარი. ისე ფეხბურთის ფანია ბავშვობიდან და პარალელურად – ნადირობის. თუმცა, როგორც თავად ამბობს, არ ეგულება კაცი, როგორიც არ უნდა პროფესიონალი მონადირე იყოს, ხელისაუკანკალებლად გამოსდოს თითი სანადირო თოფის სასხლეტს ირმის, ჯეირანის, შვლის მოსაკლავად. მონადირეებს „დაუწერელი კანონებიც“ აქვთ რომლებსაც ერთპიროვნულად ემორჩილებიან, – მათ არ უნდათ მხოლოდ 'წითელ წიგნში“ შეტანილ ცხოველებზე და ფრინველებზე აკრძალვისადმი დამორჩილება, თავადაც კარგად ხედავენ ბუნებაში რომელ სახეობას როგორ უჭირს გამრავლება თუ თავის რჩენა, ამიტომაც თავად უწყობენ ხელს მათ გადარჩენა-გამრავლებას. რამდენად მისცემს ახალი პოსტი ნადირობის საშუალებას, ბატონ შალვას, ვნახოთ...

*თინა ილაური*

## სიახლე ალტერნატიული აუდიტი



მეხუთე გვერდი

## შეშის მოპოვების პროცედურა გამარტივდა



მეოთხე გვერდი

## 71 წლის ოჯახი



მეოთხე-მერვე გვერდები

## რთველი გრძელდება



მერვე გვერდი

# პრეზიდენტის საჩუქარი იორმუღანლოელ პირველკლასელებს

ახალი 2011-2012სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა კონტიგენტით მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი დიდი სასწავლო დაწესებულების – იორმუღანლოს საჯარო სკოლის კარები 145 პირველკლასელმა შეაღო. მშვიდ სასწავლო გარემოსთან, მზრუნველ პედაგოგ-მასწავლებლებთან ერთად სკოლაში მისულ აზერბაიჯანულენოვან ბავშვებსა და მათ მშობლებს კიდევ ერთი დიდი სიხარული დახვდათ – ყველა პირველკლასელმა საჩუქრად მიიღო საქართველოს პრეზიდენტის შეპირებული „ნეტბუქი“.

გაიხარეს პატარებმა და მათმა მშობლებმაც. კომპიუტერები ხომ ფართო გზას უხსნიან აქაურ ბავშვებს ცოდნის მწვერვალების უკეთ დაუფლებისა და თანამედროვე ცივილურ სამყაროში დამკვიდრებისათვის.

სურათზე: პრეზიდენტის საჩუქარის გადაცემისას – აზათ სარიევის მშობელს ნეტბუქს გადასცემს სკოლის დირექტორი ისლამ გაიბოვი.



# გამგეობის თათბირის დღიურიდან





**4 ოქტომბერი, 2011 წელი**

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ესწრებოდნენ ამავე მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები გოჩა (ვეფხია) ჩერქეზიშვილი და შალვა ჯაბადარი, მუნიციპალიტეტის სამსახურების უფროსები, პრესსამსახური, ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულები.

თათბირზე ბ-ნმა გოჩა (ვეფხია) ჩერქეზიშვილმა მოკლე მიმოხილვა გააკეთა მუნიციპალიტეტში მიმდინარე რთვლის კამპანიის შესახებ, მოისმინა ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულთაგან ამ კუთხით არსებული მდგომარეობა და აღნიშნა, რომ რთველი ალბათ გამომდინარე კლიმატური პირობებიდანაც დაჩქარდება და უახლოეს ხანში დამთავრდება.

თათბირის მონაწილეთა უმრავლესობამ, განსაკუთრებით კი მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულებმა ინტერესი გამოიჩინეს თბობის სეზონთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებზე, უპირველესად კი შეშის დამზადებისა და მოსახლეობამდე, ასევე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მიტანაზე. – აღნიშნულ საკითხზე კი პასუხის გაცემა მხოლოდ სატყეო სამსახურის უფროსს შეუძლია, რადგან რადიკალურად შეიცვალა მთელი რიგი კანონები ტყით სარგებლობის კანონმდებლობაში – აღნიშნა ბ-ნმა შალვა ჯაბადარმა.

ასევე გარკვეული და დასაბუთებული პრეტენზიები გამოითქვა მთელი რიგი ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულებიდან ს.ს. „კახეთის ელექტროდისტრიბუციის" საგარეჯოს სერვისის ხელმძღვანელობის მიმართ. მუნიციპალიტეტის გამგეობის 16 აგვისტოს თათბირზე მოწვეულ ამავე სერვისის უფროსის ბ-ნი ნიკოლოზ ფხოველიშვილის მიერ თათბირის მონაწილეთათვის მიცემული პირობის მიუხედავად – მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამ კუთხით არსებული მდგომარეობის შესწავლისა და პრობლემების აღმოფხვრისა, იგივე სიტუაციაა – კვლავ ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ერიცხებათ აბონენტებს გაზრდილი გადასახადები, კვლავ ავარიულ მდგომარეობაშია ელექტროგადამცემი ხაზების საყრდენი ბოძები, 3 და ზოგჯერ 7 დღით ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულისა და მოსახლეობის წინასწარი გაფრთხილებისა და ყოველგვარი ობიექტური მიზეზის გარეშე ხდება ამოთიშვა მთელი რიგი ტერიტორიული ერთეულებისა ელექტრომომარაგების სისტემიდან.

**11 ოქტომბერი, 2011 წელი**

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ბ-ნი შალვა ჯაბადარი უძღვებოდა. თათბირს ესწრებოდნენ ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულები, გამგეობის სამსახურის უფროსები, გამგეობის პრესსამსახური.

თათბირზე ბ-ნმა შალვა ჯაბადარმა მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულებისაგან მოისმინა ინფორმაცია რთვლისა და სოფლებში პროგრამა „სოფლის მხარდაჭერის" პროექტების განხორციელებისათვის მიმდინარე სამუშაოების მდგომარეობა. ამასთან, გამგეობის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსს დავით ხატიაშვილსა და გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსს გიორგი ქვლივიძეს მისცა კონკრეტული დავალებები სოფლებში ამ პროგრამით მიმდინარე სამუშაოების გადამოწმებისათვის.

თათბირზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულებმა აღნიშნეს, რომ საზაფხულო საძოვრებიდან ცხვრის ე.წ. გადმოსარეკი ტრასების შემოკლების მიზნით კახეთის სხვადასხვა რაიონების მეცხვარეებს ცხვრის ფარები სოფლებზე გადმოჰყავთ, რასაც მოსდევს ინფექციური დაავადების – თურქულის გავრცელების საშიშროება. ამასთან, ცხვრის ამ ფარებს მოჰყვება მგლის ხროვები, რომლებიც სოფლის მახლობლად რჩებიან და უკვე იყო შემთხვევები მოსახლეობიდან ცხვრის მგლის მიერ გატაცებისა.

– აღნიშნული საკითხი იქცევა სერიოზული მსჯელობის საგნად და ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეიძლება ფართომასშტაბიანი ნადირობა გამოცხადდეს მგლებზე, აღნიშნა ბ-ნმა შალვა ჯაბადარმა.

# საკრებულოს სხდომაზე



**ს**აგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30 სექტემბრის სხდომას 22 დეპუტატი ესწრებოდა. „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკითხის „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 დეკემბრის № 33 დადგენილებაში „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის შესახებ" ცვლილებების შეტანის თაობაზე მოხსენება გააკეთა *საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ადგილობრივი ფინანსების მართვის სამსახურის* უფროსმა **ქალბატონმა ნინო ქურხულმა**, როგორც მან აღნიშნა: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" მე-80 მუხლის I პუნქტის საფუძველზე შეტანილია ცვლილება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტში, რომლის მოცულობა განისაზღვრა 8 568 100 ლარის ოდენობით. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში შეტანილია ცვლილება: გაიზარდა სამხედრო-სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 200 ლარით; არაწარმოებრივი აქტივები მიწაზე – 39 000 ლარი; შემცირდა მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 39 2000 ლარით

ასევე ქ-ნ ნინო ქურხულმა ისაუბრა გადასახადების ნაწილში შეტანილ ცვლილებაზე, შრომის ანაზღაურების ფონდის შემცირებაზე. შემცირდა გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და მოვლა-შენახვის ხარჯები, ასევე მოხდა სკვერების, ბაღების, მოსაცდელების, გაზონებისა და ტროტუარების კეთილმოწყობის ხარჯების შემცირება და მინი სტადიონების და სპორტდარბაზების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის ხარჯების შემცირება, გაიზარდა წყლის სისტემის რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ხარჯი.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ აიპ „სკოლამდელი და სკოლისგარეშე სასწავლო აღმზრდელობითი ორგანიზაციების გაერთიანების" დაფინანსება გაიზარდა 29 940 ლარით, მათ შორის მოსახლეობაზე მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულება 18 495 ლარით; ზამთრისათვის შეშის შეძენის ხარჯი 5 725 ლარით.

სხდომამ იმსჯელა აღნიშნული საკითხის ირგვლივ და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიმდინარე წლის 8 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ საკრებულოს წინაშე ანგარიშით წარსდგა ამავე *ცენტრის დირექტორი* **ქალბატონი ლელა ოთარაშვილი.** როგორც მან აღნიშნა: მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი არის არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი. იგი დელეგირებული უფლებამოსილების ღონისძიებებს ანხორციელებს. მისი საქმიანობა განისაზღვრება შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის სარეკომენდაციო წერილის საფუძველზე მომზადებული და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული სამუშაო პროგრამით.

ცენტრის ძირითად საქმიანობაში შედის: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა-განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა, იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა. ამასთან, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადების გადამტანი ფაუნის გავრცელების შესწავლა და პრევენციული ღონისძიებები, პარაზიტული დაავადებების სკრინინგული კვლევა, საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით წინა წელს გაკეთდა 2011 წლის პროფილაქტიკური აცრების გეგმა და საჭირო ასაცრელი მასალის შეკვეთა. გეგმა კეთდება სოფლის ექიმებისა და სამშობიაროს მიერ მოწვდილი გეგმის მიხედვით. საზ. ჯანდაცვის ცენტრი ასაცრელ მასალას გასცემს (სამშობიაროს ჩათვლით) 17 უბანზე. ცენტრის სპეციალისტი ყოველთვიურად ატარებს ჩატარებული სამუშაოს მონიტორინგს, რომელიც არის კონტროლი და განიხილება როგორც ურთიერთთანამშრომლობა. ყოველი თვის ბოლოს 17-ვე უბანი წარმოადგენს რუტინულ სტატისტიკურ ანგარიშს შესრულებული აცრებისა და ასაცრელი მასალის ხარჯვის შესახებ. წარმოდგენილი ანგარიშების სუმირება ხდება ცენტრში და იგზავნება დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში. ცენტრი უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემავალ პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებს ასაცრელი მასალის 1 თვის მარაგით. გარდა ასაცრელი მასალისა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი უზრუნველყოფს სამშობიაროს ბე – ჰეპატიტის იმუნოგლობულინის მასალით. ქალთა კონსულტაციას ბე – ჰეპატიტისა და შიდსის ლაბორატორიული ანალიზისათვის საჭირო ტესტსისტემით. გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის სამუშაოების კუთხით, ხდება ინფექციური დაავადებების შეტყობინების მიღება, კერის გამოკვლევა დადგენილი წესით და ღონისძიებების ჩატარება, რათა არ მოხდეს დაავადების გავრცელება.

ჯილეხის (ციმბირული წყლული) 5 შემთხვევიდან 4 შემთხვევა იყო სოფელ ქეშალოში. 3 ადამიანი ერთ ოჯახში. დადგენილი იქნა დაავადების წყარო. ჩატარდა დეზინფექცია, ოჯახში დაავადების კონტროლის ეროვნული ცენტრის სპეციალისტებთან ერთად აღებული იქნა ნიადაგის სინჯები. ნიადაგი იყო დაბინძურებული. შესაბამისი სამსახურები ჩაყენებული იქნა საქმის კურსში.

პარაზიტულ დაავადებებზე– ჰელმინთებზე და მალარიაზე ხდება ლაბორატორიული კვლევა. ჰელმინთებზე სკრინინგული კვლევით ბაგა-ბაღებში გამოკვლეული იქნა მიმდინარე წელს 315 ბავშვი. მომართვათა საფუძველზე 52 ბავშვი. დადებით შემთხვევაში გაიცემა მედიკამენტი – მებენდაზოლი. დაინვაზირებულზე სამკურნალო დოზას, ოჯახის წევრებზე პრევენციულს. გაცემულია 8 თვეში 2 221 აბი მებენდაზოლი.

გამოკვლეული იქნა მალარიაზე საეჭვო 20 ადამიანის სისხლი. 3 საეჭვო პრეპარატი გადაგზავნილი იქნა დაავადებათა კონტროლის ცენტრში. მალარია არ დადასტურდა არცერთ შემთხვევაში

ჯანდაცვის ცენტრის სპეციალისტი ყოველთვიურად ატარებს ანტირაბიული კაბინეტის მონიტორინგს. კაბინეტიდან შემოდის სასწრაფო შეტყობინებები. დაკბენის ხარისხისა და დამკბენი ცხოველის მდგომარეობის მიხედვით ტარდება ღონისძიებები. 8 თვეში შემოსულია 287 დაკბენილ-დაკაწრულის შეტყობინება, მათ შორის 106 ბავშვი. აცრის სრული კურსი ჩაუტარდა 206 დაზარალებულს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადების გადამტანი ფაუნის გავრცელების შესწავლის მიზნით ენტემოლოგის მიერ ტარდება ფენოლოგიური დაკვირვება თებერვლის დასაწყისიდან ნოემბრის ბოლომდე. ეს გულისხმობს მალარიის პლაზმოდიუმის გადამტანი – ანოფელექსის გვარის კოღოების ნაჩეკებზე და ზრდასრულ ფორმებზე დაკვირვებას. გაკეთდა აპრილ-მაისში წყალსატევების აღრიცხვა-პასპორტიზაცია დასახლებული ადგილიდან 5 კმ-ის რადიუსით. ჩატარდა მცირე ჰიდროტექნიკური სამუშაოები და გამბუზიის გადაყვანა. მეტი აქცენტი კეთდება მდინარე იორის მიმდებარე ტერიტორიაზე – იორმუღანლოს დასახლება, სოფელი ბოგდანოვკა, სადაც იყო მალარიით დაავადების შემთხვევები. სოფელ კაზლარში, იორმუღანლოში, ბოგდანოვკაში, დუზაგრამაში საქონლის სადგომები დამუშავდა ქიმიურად – „სოლფაკით".

საკრებულოს სხდომაზე ქ-ნი ლელა ოთარაშვილის მიერ გაკეთებულ ანგარიშს უამრავი საინტერესო შეკითხვები მოჰყვა საკრებულოს წევრთა მხრიდან. ინტერესი იყო ჯილეხის, მალარიის, ლეიშმანიოზის როგორც დაავადებების გამომწვევი მიზეზებისა და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შესახებ.

საკრებულოს სხდომაზე განხილულ საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო – საატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბ-ნ გია ჩალათაშვილის დანიშვნის შესახებ" მოხსენება გააკეთა *საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურისტმა* ქალბატონმა **თამარ ტაბატაძემ.** სხდომამ აღნიშნულ საკითხზე მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

სხდომის დღის წესრიგის მომდევნო საკითხზე – „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სოფლის სახელდების საკითხის გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის სამთავრობო კომისიასთან შეთანხმების შესახებ" მოხსენება გააკეთა *საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ* ბატონმა **ილია ჭიაურელმა.** აღნიშნული საკითხის ირგვლივ გამოთქმული მოსაზრებების შემდეგ საკრებულომ გადაწყვიტა გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის სამთავრობო კომისიას შესათანხმებლად წარუდგინოს წინადადებები – სოფელ კრასნოგორკს – ეწოდოს სოფელი სათაფლე, სოფელ რუსიანს – ციხე-კალა, სოფელ ბოგდანოვკას – მზისგული.

## მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და სკოლისგარეშე მუშაობის დაწესებულებებში მუშაობა განახლდა

### სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებმა მუშაობა 15 სექტემბრიდან დაიწყეს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 26 ასეთი დაწესებულებაა, აქედან 5 საბავშვო ბაგა-ბაღია (გიორგიწმინდის, კაკაბეთის, ყანდაურის, საგარეჯოს №1 და №3), ქ. საგარეჯოშიც ხუთი სკოლამდელი აღზრდის 5 დაწესებულებაა: საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღი (მენეჯერი თამარ ლაფერიშვილი),№2 (მენეჯერი ლილი ლოლაძე), №3 (მენეჯერი ნანა სულიკაშვილი), №1 საბავშვო ბაგა-ბაღი (მენეჯერი ნანა კუჭუაშვილი), №3 (მენეჯერი მზია ბექიტაშვილი), რომეთაც 922 აღსაზრდელის მიღება შეუძლიათ. დღეისათვის აქ 850 აღსაზრდელია. აღსაზრდელებს 95 პედაგოგ-აღმზრდელი ემსახურებათ. რაც შეეხება კვებას, მას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა აფინანსებს მშობლის თანადაფინანსებით, რაც თვეში 10 ლარის შეტანით განისაზღვრება. კვება ორჯერადია. ერთი ბავშვის კვება 1,62 ლარით განისაზღვრება. მშობელს შეუძლია შვილი საბავშვო ბაღში სღის 16 საათიშ შემდეგაც დატოვოს ორი საათის დამატებით და მხოლოდ 5 ლარის გადახდა მოუწევს, რომლითაც მეორე ცვლის მასწავლებლისა და ძიძის ხელფასი ანაზღაურდება.

---

### საგარეჯოს პირველ საბავშვო ბაღში



საგარეჯოს I საბავშვო ბაღში (მენეჯერი თამარ ლაფერიშვილი) 15 სექტემბრიდან 170 აღსაზრდელი შეუდგა მეცადინეობას. ბაღში ექვსი ჯგუფია.

სამწლიანთა ჯგუფში 27 ბავშვია, რომლებმაც წელს პირველად შეხსნეს ბაღის კარები. მათ მზრუნველობას არ აკლებთ აღმზრდელი ნანა გეთიაშვილი (სურთაზე მარცხნიდან) და ბაღის მენეჯერი თამარ ლაფერიშვილი (მარჯვნივ) მათი ხშირი სტუმარია.



ხუთწლიანთა ჯგუფში 33 აღსაზრდელია. მათ პედაგოგს ლია კოხტაშვილს (სურათზე მარცხნიდან) უკვე ასეულობით ბავშვი ჰყავს აღზრდილი და სკოლისათვის მომზადებული. ახლაც ლია მასწავლებელი იზრუნებს ამ პატარების სკოლამდელი აღზრდის პროგრამით გათვალისწინებული მეცადინეობების ჩატარებისა და საერთოდ, მათი სკოლისათვის მომზადებაზე.

საბავშვო ბაღის მენეჯერი თამარ ლაფერიშვილი (სურათზე მარჯვნივ) თითქმის ყოველდღე ინტერესდება მათი მეცადინეობების შედეგებით.

---

### მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში

მუშაობა განაახლა საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმაც (მენეჯერი თამარ ჯაბადარი), სადაც მოსწავლე-ახალგაზრდობას 11 წრე ელოდება. უახლოეს ხანში აქ ჩატარდება ინტელექტთამაში, ლიტერატურული ტური „ჩემი მომავლის ქალაქი“, მოეწყობა ნახატების გამოფენა „ჩემი მომავლის ქალაქი“. სახლი ემზადება ნახატების საერთაშორისო კონკურსისათვის „ლიდიცე-2012“ (ჩეხეთი). გაიმართება საშემოდგომო შეხვედრა-საღამო, საახალწლო კონცერტი, საშობაო შეხვედრები, 66-ე რაიონული სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია, დედის დღე, მოსწავლე-ახალგაზრდობის დღეები – 2012 და მრავალ სხვა საინტერესო ღონისძიებებს ჰპირდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობას საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.



*სურათზე: მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის კარი ღიაა ნიჭიერი მოსწავლე-ახალგაზრდებისათვის*

---

### დელეგაცია პოლონეთში

## გამოცდილების გასაზიარებლად

საგარეჯოს მესამე საბავშვო ბაღის 45 აღსაზრდელს სამი პედაგოგ-აღმზრდელი შეეგება ახალი სასწავლო წლის პირველ დღეს. მართალია შენობა არ გარემონტებულა, მაგრამ, სამაგიეროდ, შენობის ჭერი ახალი შეცვლილია, ასევე, გამოიცვალა კარ-ფანჯარა, სველი წერტილებიც შენობის შიგნით შეიტანეს და სანიტარულტექნიკური საკითხიც საბოლოოდ მოწესრიგდა. სამი ჯგუფის აღსაზრდელების მართლაც საპატიო და მეტად საპასუხისმგებლო საქმეს აქ სამ პედაგოგთან ერთად ლოგოპედი და ფსიქოლოგი, ტექნიკური პესონალი ემსახურება.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ „კივიტას გეორგიკამ“, რომელიც დაინტერესებულია სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობით, საზოგადოება „ედუკატორის“ საშუალებით მართლაც კეთილი ნება გამოიჩინა და ამ საბავშვო ბაღში სათამაშოები, ხუთი მაგიდა და 20 სკამი შეიტანა საჩუქრად.

მიმდინარე წლის 17 სექტემბრიდან კი აღნიშნულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ საქართველოს დელეგაცია მიიწვია პოლონეთში, რომელთა შორის იყვნენ ამავე საბავშვო ბაღის მენეჯერი ნანა სულიკაშვილი და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე გოჩა (ვეფხია) ჩერქეზიშვილი – პოლონეთის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მუშაობის გასაცნობად და აღმზრდელ-პედაგოგთა გამოცდილების გასაზიარებლად. სწორედ ამ საქმიანი ვიზიტის შესახებ შთაბეჭდილებებს გვიზიარებს *საგარეჯოს მესამე საბავშვო ბაღის* მენეჯერი ქ-ნი **ნანა სულიკაშვილი:**



– რაც ჩვენ, საქართველოს დელეგაციამ პოლონეთის სამი სხვადასხვა ქალაქის საბავშვო ბაღებში ვნახეთ და გავეცანით, მართლაც რომ შთამბეჭდავი იყო. მითუმეტეს, თუ ვისაუბრებთ იმ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, რომელიც თითოეულ საბავშვო ბაღს აქვს. ეს რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ეკონომიკური დონის მანიშნებელია, მაგრამ, რასაც აქ, პოლონეთის თითოეული მოქალაქე ამ ქვეყნის მომავალი თაობის აღსაზრდელად აკეთებს, ეს უკვე ნამდვილად საყურადღებოა და მისაბაძი. ვგონებ, ყველა ქვეყნისათვის. განურჩევლად ყველა ასაკის პოლონელი იჩენს ინტერესს ამ სფეროსადმი – რითი შეიძლება დაეხმაროს საბავშვო ბაღს, როგორ შეაშველოს ხელი ამ დაწესებულებებს, მიუხედავად იმისა, რომ იქ ხელისშესაშველებელი მათ მართლაც არაფერი სჭირთ. ქართული დელეგაცია შევხვდით სამივე ქალაქის, თავად ვარშავის, ლომჟისა და ბერლუსკანის ქალაქის მერებს, რომლებმაც დეტალურად ისაუბრეს იმ გეგმებზე და მიზნებზე, მათთან ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისიდან რომ იწყებს ხორცშესხმა-განხორციელებას. გვესაუბრნენ იმ ნოვატორული ფორმების გამოყენებასა და მის საბოლოო შედეგებზე, რომელიც ბოლო ხანს პოლონეთში ბავშვის აღზრდა-განვითარებისაკენ არის მიმართული. მაღალი ხარისხის სკოლამდელი განათლების მიღებით დღეს ხომ ყველა ქვეყანაა დაინტერესებული. ეს საკითხი უმაღლეს დონეზე დგას პოლონეთში, რომელმაც იმ საბავშვო ბაღებს შორის, რომლებიც საქართველოში შეარჩიეს თავიანთი პროექტის განსახორციელებლად, ჩვენი საბავშვო ბაღიც შეიტანეს და როგორც საუბარში გითხარით, საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკამ“ პოლონელი პარტნიორების – საზოგადოება „ედუკატორის“ დახმარებით ჩვენთან სათამაშოები, მაგიდები და სკამები შემოიტანეს. მათი საბოლოო მიზანია – გაგვიზიარონ გამოცდილება, დაგვეხმარონ, რათა თითოეულ ბაღში ბავშვის ჰარმონიული (ფიზიკური, გონებრივი და ემოციური) განვითარებას ხელი შეეწყოს და ამისათვის კი შევქმნათ ოპტიმალური პირობები. ერთი სიტყვით, საბავშვო ბაღი მხოლოდ მოსამსახურე მშობელთა მიერ მობარებული პატარების მომვლელი კი არ უნდა იყოს, პარალელურად მან ბავშვს უნდა მისცეს ის განვითარება, რაც მას სკოლაში მისვლამდე გონების განვითარებისათვის გამოადგება.

***ჩაიწერა თინა ილაურმა***

# -შეშის მოპოვების პროცედურა გამარტივდა-



ასე განაცხადა ჩვენთან საუბარში საქართველოს ენერგეტიკისსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს კახეთის სატყეო სამმართველოს მომსახურების განყოფილების კოორდინატორმა საგარეჯოში **კობა შათირიშვილმა.** საგარეჯოს სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელის ჩვენს რედაქციაში მოწვევის მიზეზი კი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შეშით მომარაგების შესახებ ინფორმაციის ვაკუუმი გახდა. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ჯერ კიდევ არ იცის ვის და სად მიმართოს შეშის შესყიდვაზე. „ყოფილი სატყეო მეურნეობის კარები კი ყოველთვის დაკეტილი გვხვდებაო“, – აცხადებენ ისინი. როგორც ბ-ნ კობა შათირიშვილთან საუბრიდან გაირკვა, ისინი თურმე სულ ტყუილად წვალობენ და დადიან, სატყეოში. თუ რატომ, ამაზე ქვემოთ მოყვანილი დიალოგიდან გახდება ნათელი.

***– ბატონო კობა, ჩვენი საუბარი სიახლეებით დავიწყეთ და მოდით მოსახლეობა ბოლომდე გავარკვიოთ, რა ცვლილებებია შეტანილი მათთვის საინტერესო შეშის მოპოვების საქმეში, რა შეიცვალა, რა გამარტივდა ამ პროცედურაში?***

– პირველი და მთავარი სიახლე ამ საქმეში ის გახლავთ, რომ მოიხსნა რაოდენობრივი შეზღუდვები როგორც საშეშე (მეორე ხარისხის), ისე სამასალე (I ხარისხის) მერქნის მოპოვებაზე, ანუ შეშის, ან სამასალე მერქნის მოპოვების მსურველებს შეუძლიათ შეიძინონ იმდენი მერქანი, რამდენიც სურთ და აქვთ ამის შესაძლებლობა. ადრე კი, როგორც იცით, მოსახლეობაზე დაწესებული იყო ლიმიტები. შესაბამისად ახლომდებარე 4-5 სოფლის მოსახლეობისათვის გამოიყოფა ერთი ტყეკაფი, საიდანაც შეეძლებათ შეშის გატანა.

***– ფაქტიურად თქვენი სატყეო უბნები ადრეც ისე იყო დანაწილებული, რომ 3-4 სოფლის მოსახლეობას უხდებოდა ერთი ტყეკაფით სარგებლობა. სადღეისოდ რამდენი სატყეო უბანი დარჩა საგარეჯოში?***

– ასეთი მხოლოდ 7 უბანია.

***– როგორც საქმეში ჩახედული პირებისაგან შევიტყეთ, მოსახლეობას აღარ დასჭირდება თქვენს ოფისში მოსვლაც და ათასგვარი ფორმალობის გავლა...***

– კი, ასეა. შეშისა და მასალის შეძენის მსურველებს ჩვენთან მოსვლა აღარ დასჭირდებათ. საამისოდ მათ უნდა მიმართონ ლიბერთი ბანკის, ან რომელიმე ნებისმიერი ბანკის საგარეჯოს ფილიალს, სადაც შესაბამისი თანხის გადახდის შემდეგ მიიღებენ ხე-ტყის შესყიდვის დამზადების ქვითარს, ქვითარზე დატანილი იქნება: 1. ტყეკაფის მისამართი, 2. მისი მოქმედების ვადა, 3. ტყეკაფზე მუშაობის დღეები, 4. ხე-ტყის მოცულობა ჯიშების და ხარისხის ჩვენებით, 5. ტყეკაფის მომსახურე სააგენტოს თანამშრომლისა და ადგილობრივი ოფისისა და ცხელი ხაზის საკონტაქტო ნომრები. ასევე სააგენტოს თანამშრომლები (რეინჯერები) დაწესებული გრაფიკის მიხედვით მათ დახვდებიან გამოყოფილ ტყეკაფში და გაუწევენ სათანადო მომსახურებას.

***– შესაძლებელი იქნება, რომ მოსახლეობამ მისთვის გამოყოფილი ტყეკაფით კი არა, სხვა ტყეკაფით ისარგებლოს?***

– რა თქმა უნდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ქვითარზე დატანილი უნდა იქნას იმ ტყეკაფის დასახელება, საიდანაც მათ შეშის გამოტანა სურთ.

***– შეშაზე ფასები იგივე დარჩა თუ მოიმატა?***

– შეშაზე (რცხილა, წიფელი) ფასები იგივეა, ანუ ერთი კუბ. მეტრის ფასია სამი ლარი, რასაც ემატება სააგენტოს თანამშრომლის მიერ გაწეული მომსახურების ფასი,– 3 ლარი.

***– მაინც, რამდენ ხანს აქვს მოქმედების ვადა აღნიშნულ ქვითარს, ისევ დარჩა წინა წლების შეზღუდვა, რომ შეშა იმავე დღეს, ქვითრის გამოწერიდან 24 საათის განმავლობაში უნდა გაეტანათ, თუ შეიცვალა ეს წესი?***

– ქვითრის მოქმედების ვადა განსაზღვრული არაა, თუმცა, ეს ისე არ უნდა გაგვიგონ, რომ წელს გამოწერილი ქვითარით გაისად შეეძლებათ შეშის გამოტანა. რაც შეეხება 24 საათიან შეზღუდვას, ეს წესი ვრცელდება სააგენტოს თანამშრომლების მიერ მომხმარებლისათვის ბილეთის გამოწერაზე, ანუ შეშის გამოტანის მსურველმა ბილეთის გამოწერიდან 24 საათის განმავლობაში უნდა მიიტანოს დანიშნულების ადგილზე შეშა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სააგენტოს მონიტორინგის სამმართველოს მუშაკების მხრიდან შეიძლება მათ სერიოზული პრობლემები შეექმნათ.

**– კი, ბატონო, ეს გასაგებია, მაგრამ ვთქვათ შეშის შემძენს სურს შეშა ან მისი ნაწილი, თბილისში ან სხვა დასახლებულ პუნქტში გადაიტანოს. შესაძლებელია თუ არა ამის გაკეთება?**

– თუ ეს ზემოთაღნიშნული 24 საათის განმავლობაში მოხდება, დასაშვებია, ამ ვადის გასვლის შემდგომ კი მოქმედებს სადამსჯელო სანქციები.

***– ბატონო კობა, დასაშვებია თუ არა შეშის შემძენი პირის გარეშე სხვის მიერ – მძღოლის, ახლობლის და ა. შ. ტყიდან შეშის გამოტანა?***

– ასეთ შემთხვევაში ბილეთში ჩაიწერება ამ პირის რეკვიზიტები, მანქანის ნომრები, და შეშის გამოტანაში არანაირი პრობლემა არ ექნებათ.

***– ქვითრებით შეშის გამოწერასთან ერთად, ალბათ შემორჩენილი შეშის ვაუჩერითაც შეუძლიათ სარგებლობა მოსახლეობას?***

– კი, ამ ვაუჩერებს მოქმედების ვადა 2012 წლამდე აქვთ.

***– საბიუჯეტო ორგანიზაციები როგორ მომარაგდებიან შეშით?***

– ამ ორგანიზაციებმა ჯერ მუნიციპალიტეტის გამგეობას უნდა მიმართონ, გამგეობამ კი უნდა მიმართოს ჩვენი სამსახურის სამხარეო ხელმძღვანელობას, რომელიც ყვარელში მდებარეობს და გამოეყოფათ სათანადო ტყეკაფი.

***– რამდენადაც ცნობილია, აკრძალულია სოციალური ჭრების შედეგად მოპოვებული ხე-ტყის და მისგან მიღებული მასალის გასხვისება, ანუ გაყიდვა. რა სადამსჯელო ღონისძიებებია გათვალისწინებული ხე-ტყის უკანონო მომპოვებლების, ანდა რეალიზატორების მიმართ?***

– სათანადო კანონმდებლობით მკაცრად იკრძალება სოციალური ჭრებით მოპოვებული ხე-ტყის, და მისგან მიღებული მასალის ნებისმიერი ფორმით გასხვისება. ასევე იკრძალება სამასალე ხე-ტყის, (მორის) მოძრაობა სათანადო ფირნიშისა და მისი წარმოშობის დოკუმენტების გარეშე, ასევე მათი მიღება-გადამუშავება ამ ფირნიშის გარეშე. ასეთ დარღვევებზე, თუ ზარალი უმნიშვნელო არაა, აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე, დაწესებულია სოლიდური ჯარიმები. უფრო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სააგენტოს თანამშრომლებისაგან, რომლებიც ვალდებულნი არიან დასმულ ყველა შეკითხვაზე გასცენ კვალიფიციური განმარტება ან დარეკონ სააგენტოს ცხელ ხაზზე რომლის ნომერია (832) 272 72-72-72, ასევე ისარგებლონ ინტერნეტით www.ment. Gov. Ge.

*ესაუბრა გივი დაბახიშვილი*

---

1 ოქტომბერს აღინიშნა ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე

# უღელი გაუტეხელი

**უხუცესთა ოჯახის 71 წლის იდილია...**

ეს ოჯახი, რომელზედაც ამ წერილში უნდა მოგითხროთ, ჩაილურში მცხოვრები, არც მეტი, არც ნაკლები, – 100 წლის გიორგი ქევხიშვილსა და მის 90 წლის მეუღლეს რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელს ნინო ქევხიშვილს ეკუთვნით. აგერ უკვე სამოცდამეთორმეტე წელია ეწევიან ისინი ოჯახური ცხოვრების უღელს და ერთხელაც არ ახსოვთ გზიდან გადაეხვიოთ, ეღალატათ ან გაემრუდებინათ თავიანთი ერთობლივი გზასავალი. ახლაც, ღრმა მოხუცებულობაში არ განელებიათ თავდაპირველი სიყვარული, ერთმანეთს ეფერებიან, უყვავებენ და ეხუმრებიან. განსაკუთრებით ეს ბატონ გიორგიზე ითქმის, რომელსაც არც არასოდეს სიტყვაპასუხი შეშლია, არც იუმორის გრძნობა მოჰკლებია, ისევ ძველებურად შეუძლია სუფრის გაძღოლა და ქართული სიმღერა–საგალობლების შესრულება.

მაშინ უკვე შეღერებული – 28 წლის ვაჟკაცი იყო ბატონი გიორგი, როცა წყაროსთაველი (მაშინდელი ახბულახი) ნინო დათუნაშვილი "შეათვალიერა" და 1940 წლის 5 სექტემბერს ქორწინების მოწმობაზეც მოაწერეს ხელი. ათი თვის თავზე კი ავადმოსაგონარი დიდი სამამულო ომი დაიწყო.

– 1941 წლის 22 ივნისს, როცა ფაშისტური გერმანია საბჭოთა კავშირს თავს დაესხა, მე კომკავშირის საგარეჯოს რაიკომში ვმუშაობდი. ბავშობიდან ვოცნებობდი მფრინავი გამოვსულიყავი, მაგრამ ამ ოცნების ასრულებაში ბევრი რამ მიშლიდა ხელს. ამიტომ ავდექი და დავწერე განცხადება რესპუბლიკის კომისრის სახელზე– ჩავირიცხე მფრინავთა მოსამზადებელ კურსებზე, რათა ამ სახით მიმეღო მონაწილეობა მტრის განადგურებაში. პირველს, მალე მეორე განცხადებაც მივაყოლე, რის შემდეგაც ჩემი თხოვნა დააკმაყოფილეს. გვამზადებდნენ იმ დროს არსებულ ყველა სახის საბრძოლო თვითმფრინავებზე და ეს სწავლება ფრიადზე გავიარე. ალბათ მალე ჩემს ოცნებას ფრთები შეესხმებოდა, მაგრამ გამწვევ კომისიაზე, როცა ჩემი საბუთები გასინჯეს, როგორც კომკავშირის მუშაკი, იმ დროს სსრკ-ში ყველა რესპუბლიკაში გახსნილ პოლიტხელების მოსამზადებელ კურსებზე ჩამრიცხეს, ისე, დამოუკიდებლად. ისე, რომ ცაში აფრენას ველარ ველირსე.

ისევ განცხადებები, გადასამზადებელი კურსები, თხოვნა მოქმედ არმიაში ჩარიცხვაზე. როგორც იქნა 414-ე ქართულ დივიზიაში ჩარიცხეს, რომელიც ჩრდილო კავკასიაში ჩამოყალიბდა. მფრინავობაზე მეოცნებე მეტყვიამფრქვევეთა ოცეულში ჩარიცხეს და გერმანელების მიერ ოკუპირებული ქერჩის მისადგომებთან გადაისროლეს. აქ მიიღო პირველი საბრძოლო ნათლობა და პირველი ჭრილობაც. მოიშუშა თუ არა იარები, კვლავ 414- დივიზიაში მეტყვიამფრქვევეთა ასეულში ჩარიცხეს და აქედან მოყოლებული ექვსი თვის განმავლობაში უწევდათ გერმანელთა გააფრთებული იერიშების მოგერიება და ქერჩის ოკუპირებული ტერიტორიის ნაბიჯ-ნაბიჯ განთავისუფლება. ამ ბრძოლებს უამრავი ქართველი და კავკასიელი ახალგაზრდის სიცოცხლე, მათ შორის ბ-ნი გიორგის ასეულის მებრძოლები, ხაშმელი ქარუმიძე (პროფესორ ვახტანგ ქარუმიძის ძმა) და თბილისელი მასიკაშვილი შეეწირა.

1944 წელს, ქერჩის განთავისუფლების ბოლო დღეს, კვლავ დაიჭრა და მკურნალობა ჩრდილო კავკასიის სამკურნალო სანატორიუმში გაიარა. მერე იყო გომბორის კოლმეურნეობის თავმჯდომარეობა. 1946 წლიდან უკვე ჩაილურის გაერთიანებული კოლმეურნეობის თავმჯდომარეა. ამ პოსტზე მისი მუშაობისას ორივე სოფელში გაიყვანეს წყლები, ელექტროენერგია, ამუშავდა წისქვილები და სხვა... 1948 წლიდან როცა ჩაილური კაჭრეთის რაიონზე გადავიდა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების კანტორაში დაიწყო მუშაობა, აქედან თოხლიაურში მეძროხეობის ფერმას ჩაუდგა სათავეში. 1966 წელს ნაბრძოლი და გამოცდილი სამეურნეო მუშაკი მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პროფკავშირების კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს, სადაც მთელ ათ წელს იმუშავა. ათი წლის თავზე კი ისევ მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა – ჩაილურის სანერგე მეურნეობაში მემინდვრეობის ბრიგადის ხელმძღვანელობა მიანდეს. ასე ემატებოდა დიდ სამამულო ომში მიღებულ „წითელ ვარსკვლავსა“ და სხვა ორდენებსა და მედლებს „შრომის ფრონტზე“ მიღებული ჯილდოები.



1965 წლის იანვარი

რაც შეეხება ქალბატონ ნინოს, 1938 წლის პირველ სექტემბერს როგორც დაწყებითი კლასების მასწავლებელმა გადააბიჯა უჯარმის არასრულ საშუალო სკოლის ზღურბლს, და მას შემდეგ მთელი 53 წლის განმავლობაში 1992 წლამდე ოჯახურ ტვირთთან ერთად ერთგულად ეზიდებოდა ქვეყნის წინაშე ამ მეტად საპატიო და საპასუხისმგებლო უღელსაც. ჩაილურელები და არამარტო ამ სოფლელები, მადლიერების გრძნობით იხსენიებენ ქვეყნისათვის არაერთი სახელოვანი ადამიანის აღზრდისათვის მის მიერ გაწეულ ღვაწლს. საქართველოს დამსახურებული მასწავლებლისა და რესპუბლიკური მნიშვნელობის პენსიონერისათვის ყველაზე მაღალი ჯილდო და საამაყო მაინც თავისი ოჯახი და სამი ვაჟი – ვაჟა, ვალერი და ზაზა, შვილიშვილები და შვილთაშვილები არიან, რომლებზედაც როგორც იტყვიან, 'მზე და მთვარე ამოსდის". მასწავლებლობის დროს შეძენილ ნიჭთან და უნართან ერთად სწორედ ეს სიკეთე და სიხარული, ოჯახური ბედნიერება და იდილია ეხმარება მას წელთა სიმრავლის გაძლებაში, სიცოცხლის ძალისა და ხალისის შენარჩუნებაში. ამიტომაც გამოიყურებოდა ასე მხნედ და გაუტეხლად ცხოვრების მრავალჭირნახული და გადანახადი.

შარშან, 2010 წლის 9 მაისს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 65-ე წლ-

*დასასრული მერვე გვერდზე*

სიახლე

მთავრობის ახალი საკანონმდებლო ინიციატივა

# ალტერნატიული აუდიტი –

## მეწარმეთა კომფორტისათვის



საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენლის საწარმოში შესვლა ბუღალტრული საქმიანობის შესამოწმებლად დამემოწმებით თითოეულ მეწარმეში მძიმე ფსიქოლოგიურ სტრესს იწვევს, უნდა ეს თუ არ უნდა, აქვს წესრიგში ყველა დოკუმენტი თუ კანონის შესაბამისად წარმართავს თავისი საქმიანობის თითოეულ ნიუანსს. ალბათ გაინტერესებთ ისიც, რატომ ხდებოდა და და დღესაც რატომ „გრძელდება“ ასეთი დახვედრა საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენელთან? ძალიან მარტივია პასუხი – უბრალოდ, მეწარმე „ვერ იცლის“ თუ არ იცლის იმ კანონმდებლობის, იმ საგადასახადო კოდექსის გაცნობა-შესწავლისათვის, რომელიც იმ დროისათვის მოქმედებს სახელმწიფოში.

მოგეხსენებათ, რომ 2011 წლის 20 მაისს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა, საქართველოს საგადასახადო კოდექსში იმ ცვლილებისა და დამატებების შესახებ, რომლის მიხედვითაც მეწარმეს შესაძლებლობა მიეცემა, შემოწმების მიზნით თვითონ აირჩიოს შემოსავლების სამსახურის მიერ შემოთავაზებული სიიდან აუდიტორი ან საკანონმდებლო კომპანია. ეს ინიციატივა საქართველოს მთავრობის იმ პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, რომელიც „ახალი კურსის“ სახელითაა ცნობილი და მიზნად ისახავს იმას, რომ მეწარმეებმა თავი მაქსიმალურად კომფორტულად იგრძნონ.

მთავრობის ამ საკანონმდებლო ინიციატივას უფრო ღრმად თუ არა, ნაწილობრივ მაინც გასაცნობად ჩვენ საგარეჯოში მოქმედ *აუდიტორული ფირმა შპს „გარანტის“ დირექტორს* ქალბატონ **ნათელა ჭიაბერაშვილს** მივმართეთ.

**ცნობისათვის**: ქ-ნი ნათელა ჭიაბერაშვილი საგარეჯოელია. 1983-1990 წლებში იგი საგარეჯოს რაიონის საფინანსო განყოფილების მთავარ ბუღალტრად მუშაობდა, 1990-1996 წლებში – საგარეჯოს საგადასახადო ინსპექციის მთავარი ინსპექტორია, 1996-2001 წლებში – საგარეჯოს რაიონის საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილეა, ხოლო 2001 წლიდან დღემდე იგი აუდიტორული ფირმა შპს „გარანტის“ დირექტორია.

***– ქალბატონო ნათელა, ჩვენ ახლახანს ვსაუბრობდით ალტერნატიული აუდიტის შესახებ და თქვენ მითხარით, რომ მთავრობის ეს პოლიტიკა, რომელიც „ახალი კურსის“ სახელითაა ცნობილი, მიზნად ისახავს - მეწარმეებმა თავად აირჩიონ შემოსავლების სამსახურის მიერ შეთავაზებული სიიდან აუდიტორი და ამით ისინი, ე. ი. მეწარმეები თავს კომფორტულად იგრძნობენო. ეს მართლაც ასე იქნება?!***

– რა თქმა უნდა, და გეტყვით, რომ სახელმწიფო მაშინაა ეკონიმიკურად ძლიერი, როცა მისი თითოეული მოქალაქე ეკონიმიკურად ძლიერია. საქმე იმაშია, რომ საგადასახადო კანონმდებლობა ჯერ ისევ დახვეწის პროცესშია, ქვეყანაში არ არსებობდა საგადასახადო კულტურა, არსებობდა საკმაოდ მძიმე გადასახადები, მაგრამ არ არსებობდა ადმინისტრირება, შემდეგ ამოქმედდა საგადასახადო ადმინისტრირება, შემცირდა საგადასახადო ტვირთი, მაგრამ ეს ღონისძიება საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ წლების განმავლობაში არ არსებული საგადასახადო კულტურა ერთბაშად ჩამოყალიბებულიყო და მეწარმეებს საკმარისი ცოდნა ჰქონოდათ საიმისოდ,რომ კანონი არ დაერღვიათ. მათ ხშირად უწევდათ პასუხისმგებლობა ამა თუ იმ ფორმით, მაგალითად, გადაუხდელი ძირითადი თანხიდან გამომდინარე ზედმეტად დარიცხული საურავები, ასევე, ტექნიკური შეცდომით გამოწვეული გადასახადის შემცირების საკითხი, რისი გათვალისწინების ნორმაც საგადასახადო კოდექსში არ არსებობდა. აქედან გამომდინარე, ერთნაირად ისჯებოდა მეწარმე ტექნიკური და შინაარსობრივი შეცდომით გამოწვეული დარღვევის გამო. ე.ი კანონში არ არსებობდა ნორმა, რომელიც ტექნიკურ და შინაარსობრივ შეცდომებს ერთმანეთისაგან გამიჯნავდა. დარიცხული საგადასახადო სანქციები და საურავები ხშირად მრავალჯერ აღემატებოდა მეწარმის მიერ აუღიარებელ გადასახადს. აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობამ მიიღო “ახალი კურსი”, რომელიც ითვალისწინებს რამდენიმე ლიბერალურ გადაწყვეტილებას.

***– კონკრეტულად, ხომ ვერ გვეტყვით, რას?***

– დიახ. პირველი — დღეს საგადასახადო ორგანოს თანამშრომელს უფლება აქვს, არ გამოიყენოს სანქცია-საურავი და ჯარიმა იმ შემთხვევაში, თუკი დარწმუნდება, რომ მეწარმეს გადასახადის დამალვის განზრახვა არ ჰქონდა. მაგალ;ითად, როცა მეწარმემ თანხა გადაიხადა, მაგრამ დეკლარაცია არ წარადგინა, ეს ნიშნავს, რომ მან კანონი არ იცოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის გადასახადს არ გადაიხდიდა. ასეთ შემთხვევაში საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს მეწარმის გაფრთხილებას, თუ მეორეჯერ როგორ უნდა მოიქცეს, რომ სრულყოფილად შეასრულოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი მოთხოვნები,

მეორე – ახალი ინიციატივით ხელისუფლებამ იძულებითი სწავლების ნორმაც შემოიღო, ანუ მეწარმეს ან ბუღალტერს, რომელმაც შეცდომა დაუშვა, იძულებით ასწავლიან, რათა დამფუძლებელი მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში არ ჩააყენონ. ამასთან უკვე არსებობს სერვისი, რისი საშუალებითაც დამფუძნებელს თვითონვე შეუძლია შეამოწმოს მისთვის მისაღები ბუღალტრის კანდიდატის კვალიფიკაცია შემოსავლების სამსახურის საიტზე განთავსებული ელექტრონული ტესტირების ბაზის მეშვეობით და შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება – ანდოს თუ არა თავისი ბიზნესი მოცემულ კანდიდატს.

და მესამე — ეს არის ე.წ ალტერნატიული საგადასახადო აუდიტის ჩატარება, ანუ მეწარმეს წინასწარ მიეწოდება შეტყობინება გეგმიურ შემოწმებასთან დაკავშირებით და მიეცემა შესაძლებლობა თავად გააკეთოს არჩევანი შემოსავლების სამსახურსა და აუდიტორულ ან საკონსულტაციო კომპანიის მიერ შემოთავაზებული ნუსხიდან მისთვის სასურველ და სანდო ფირმას შორის და ალტერნატიული საგადასახადო აუდიტი ჩაატარებინოს. თუ აუდიტის დროს რაიმე სახის დარღვევა გამოვლინდება, მეწარმე ამ დარღვევას გამოასწორებს და არ დაჯარიმდება

***– როგორც თქვენი საუბრიდან ირკვევა, ამ შემთხვევაში აუდიტორი მარტო შენიშვნებით უნდა შემოიფარგლოს?***

– არა, აუდიტორის მიერ ჩატარებული აუდიტის შედეგად იწერება შესაბამისი დასკვნა, რომლის საფუძველზეც გადამხდელი უფლებამოსილია დააზუსტოს დეკლარაცია და აღიაროს ის საგადასახადო ვალდებულება, რომელიც მას უცოდინრობის, დაუდევრობისა თუ შეგნებული მიზეზების გამო არ ჰქონდა დეკლარირებული. შესაბამისად, აღნიშნულ ნაწილში მას საგადასახადო სამართალდარღვევისათვის ჯარიმა არ დაეკისრება და საგადასახადო სამსახურის მიერ აღარ გადამოწმდება.

***– საინტერესოა ისიც, გავარკვიოთ, აუდიტორის მიერ ჩატარებული საგადასახადო აუდიტი მხოლოდ დოკუმენტურ შემოწმებას უნდა მოიცავდეს?***

– არა, შემოწმების პროცესში აუდიტორს უფლება აქვს, თუ ამის საჭიროებას დაინახავს, გადამხდელს მოსთხოვოს მისი თანდასწრებით სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარებაც, გამოვლენილ შედეგზე- ზედმეტობაზე ან დანაკლისზე, ასევე, არ გავრცელდება საჯარიმო სანქციები.

***– თქვენ როგორ ფიქრობთ, ასეთი მიდგომა ალბათ გადამხდელებს იმ სტრესსაც მოუხსნის, რაც საგადასახადო შემოწმებას ახლდა თან?***

– რა თქმა უნდა, ასეთი მიდგომა გადამხდელის მიმართებაში ხომ სწორედ ლიბერალიზაციის პოლიტიკის გაფართოებას ისახავს მიზნად, რაც შეეხება დადებით მომენტებს, დადებითია ის, რომ ბიზნესმენს არჩევანის საშუალება აქვს – შემოწმება ჩაატარებინოს არა მაინცდამაინც სახელმწიფო სტრუქტურას, არამედ აირჩიოს აუდიტორი ან აუდიტორული ფირმა და გამოასწოროს დაშვებული ხარვეზი და არ დაჯარიმდეს.

ალტერნარიული აუდიტი დღემდე არსებულ მკაცრი ადმინისტრირების სფეროს გარკვეულად შეარბილებს და თვითონ ბიზნესმენიც თავის ეკონომიკურ საქმიანობას ნაკლები შიშის ქვეშ განახორციელებს.

***– ყოველივე ეს ხომ არ გამოიწვევს სახელმწიფო შემოსავლების შემცირებას, თქვენ, როგორც აუდიტორი როგორ ფიქრობთ??***

– ჩვენი რაიონის მაგალითზე გეტყვით და გაგახსენებთ, სადაგადასახდო შემოწმების შემდეგ რამდენმა ფირმამ შეწყვიტა ფუნქციონირება მხოლოდ იმიტომ, რომ ვეღარ გადაიხადა დარიცხული სანქცია-საურავები. იმ შემთხვევაში თუ კი ის აღარ გადაიხდის ჯარიმას დაშვებული ხარვეზის გამოსწორების შემდეგ, მას შეუძლია თანხები ისევ ბიზნესში ჩადოს და შესაბამისად უფრო მეტი მოგება მიიღოს, ამით მისი ბიზნესი იზრდება და ცხადია, ამით სახელმწიფო უფრო მეტ სარგებელს მიიღებს.

***– ქალბატონო ნათელა, საგარეჯოს რაიონის მეწარმეებისათვის მარტო თქვენ გაქვთ ალტერნატიული აუდიტის ჩატარების უფლება?***

– არა, ეს ასე არ არის, ჯერჯერობით კახეთის რეგიონში სამი აუდიტორია შერჩეული, ვისაც უფლება მიეცა ალტერნატიული საგადასახადო აუდიტის ჩატარების. ეს კი ძალიან ცოტაა. პროექტიც გამოცდის პროცესშია, სამივე აუდიტორი 100000 ლარამდე ბრუნვის მქონე ორგანიზაციების შემოწმების უფლებით ვართ დანიშნული, შემდეგ უკვე ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი გვიჩვენებს, მივიღებთ თუ არა უფრო მაღალი ბრუნვის მქონე საწარმოების შემოწმებაში მონაწილეობას.

მოქმედი ალტერნატიული აუდიტორების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ნახონ ფინანსთა სამინისტროს საიტზე განთავსებული **RS.GE** “ალტერნატიული აუდიტი”

***– როგორც ცნობილია დღეს საგადასახადო სამსახურის მიერ გაწეული მომსახურება ფასიანია, თქვენ კი კერძო აუდიტორები ხართ, საინტერესოა ვინ აგინაზღაურებთ გაწეული მომსახურების ღირებულებას?***

– მომსახურების ანაზღაურება მოხდება გადასახადის გადამხდელის მიერ, რომლის ოდენობაც დგინდება ურთიერთშეთანხმების შედეგად, ამასთან, მხოლოდ საგადასახადო აუდიტის ფარგლებში 100 000 ლარამდე ბრუნვის მქონე საწარმოებისათვის გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს.

***– 1000 ლარი არ უნდა იყოს დიდი თანხა იმ მომსახურებისათვის, რასაც ალტერნატიული აუდიტი სთავაზობს გადასახადის გადამხდელს.***

– ალბათ...

*საუბარი ჩაიწერა:*

***თინა ილაურმა***

**P.S** რედაქცია მზად არის მიიღოს ნებისმიერი საგარეჯოელი გადასახადის გადამხდელის შეკითხვა, რომელიც ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ გაჩნდება, ან სახელმწიფოს ამ ახალ საგადასახადო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხი, რომელზედაც პასუხს გაზეთის ფურცლებზე დაინტერესებული პირი ქალბატონი ნათელა ჭიაბერაშვილისგან მიიღებს.

**მომავალ ნომერში წაიკითხავთ:**

1. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა
2. თურქული და მისი პროფილაქტიკა
3. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის განჩინება მიცვალებულთა სულების მოსახსენიებლად

## გემის კაპიტანი:

# „ნებისმიერი სიტუაციიდან გამარჯვებული უნდა გამოვიდე“



კითხვაზე – რამდენს უოცნებია ბავშვობაში გემის კაპიტნობაზეო, უმრავლესობა გიპასუხებთ – ალბათ, უფრო ზღვისპირეთში მცხოვრებთო. მაგრამ, თურმე კახელ ბიჭსაც ჰქონია ოცნება – ყოფილიყო ხიფათებითა და თავგადასავლებით სავსე სამყაროში, მხოლოდ უკიდეგანო ოკეანეს ზედაპირსა და უსაზღვრო ცისქვეშეთში. იქ, სადაც სულისტკივილამდე იცის მშობლიურმა კერამ მონატრება, სადაც წამიერად გაირბენენ ნაცნობი ორღობეების ჩრდილები, მეგობრების სახეები, რომლებთანაც ყველაზე ტკბილი და ლამაზი დღეები, წლები გვაკავშირებს. მაგრამ, მყისიერად, წუთიერადაა ეს გაელვება, ეს მონატრება. რატომ? არ გვცალია სხვა, ასე ვთქვათ, „მიწიერ ცხოვრებაზე“ საფიქრალად. აქ მხოლოდ წყალია, აქეთაც, იქითაც, წინაც, უკანაც, აქ მხოლოდ ჰორიზონტის ხაზია – წყლისა და ზეცის შემაერთებელი. აქ ერთმანეთს ეჭიდება, ეპაექრება მამაცობა და ოკეანის რისხვა, სასწორის ორ პინაზე სიკვდილ-სიცოცხლეა მხოლოდ. თუმცა, ყოველთვის მამაცობა და სიცოცხლე ჯაბნის შტორმსაც და მეხს და მერეხსაც. ამიტომ, ყოველთვის დაძაბული კი არა, უფრო სწორად, მობილიზებული ხარ, მზადყოფნაში ხარ – წამი არ გაუშვა გაუკონტროლებელი, რადგან იქ ხვდები, რომ წამია მართლაც წუთისოფელი და ამ ერთ წამში, წამის მეათედში დაშვებულმა ერთმა უზუსტობამ შეიძლება ათეულობით და ასეულობით სიცოცხლე ისე შეიწიროს, თვალისდაუხამხამებლად...

ჩვენი გაზეთის სტუმარი პატარძეულელი გიორგი (გელა) უნაფქოშვილია – გემის კაპიტანი. გაზეთის ეს ნომერი გაგაცნობთ მის შრომით საქმიანობას, რომელზედაც ოცნება ბატონმა გელამ (ამ სახელით იცნობს პატარძეულიც და საგარეჯოც) თურმე სამი წლის ასაკიდან დაიწყო – ფოტოზე დედ-მამას შორის დგას, ფოტოგრაფს მაშინდელი „ეშმაკობით“ (კლიენტის მოსაზიდად) გელასათვის მეზღვაურის ქუდი დაუხურებია (ასეთი ფოტო ალბათ თქვენგან ბევრს ექნება ძვირფასო მკითხველო). შემდეგ, როცა წიგნებს მიუჯდა, პატარძეულელი კონტრადმირალის – მიხეილ ჭინჭარაძის საგმირო საქმეები წაიკითხა. მაშინ ამ მოთხრობას ერქვა „1200“, სკოლაში მეოთხე კლასში ასწავლიდნენ, სადაც მოთხრობილი იყო ომის ქარცეცხლში სევასტოპოლიდან როგორ გამოიყვანა 1200 ადამიანი სამშვიდობოზე კონტრადმირალმა მიხეილ ჭინჭარაძემ ( რომელიც შემდგომ მშვიდობიან წლებში პატარძეულის საბჭოს თავმჯდომარეც იყო). სწორედ ამ მოთხრობის შემდეგ შეჩერდა არჩევანი გემის კაპიტნობაზეო, – მეუბნება ბ-ნი გელა.

და აი, 1969 წელს პატარძეულის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იმავე წელს ჩაირიცხა ქ. ბათუმის დაწყებითი საზღვაო მომზადების სკოლაში, რომელიც 1971 დაამთავრა სპეციალობით – I კლასის მატროსი.

სწავლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა ქ. ბათუმის საზღვაო სასწავლებელში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1975 წელს, სპეციალობით შტურმანი, ე.ი. გემთწამყვანი. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ქ. ნოვოროსიისკში ჯერ მატროსად, შემდეგ კი კაპიტნის მეოთხე და მესამე თანაშემწედ. 1978 წელს ჩააირიცხა ქ. ნოვოროსიისკის უმაღლეს საზღვაო-საინჟინრო აკადემიაში, დაუსწრებელ განყოფილებაზე, რომელიც 1986 წელს დაამთავრა და მიენიჭა სპეციალობა – ინჟინერ-გემთწამყვანი.

1978-88 წლებში მუშაობდა საქართველოს საზღვაო-სანაოსნოს გემებზე – კაპიტნის მეორე და უფროს თანაშემწედ.

1988 წლიდან დამტკიცებულია შორეული ნაოსნობის კაპიტნად. 1986-87 წლებში ქ. ოდესაში დაამთავრა საზღვაო-სავაჭრო ფლოტის ოფიცერთათვის განკუთვნილი ინგლისური ენის ერთწლიანი კურსები.

1975 წლიდან 1998 წლამდე იმუშავა როგორც რუსეთში, ასევე საქართველოს გემებზე: „ნოვიროსიისკის პარტიზანი“, „ლუდინოვო“, „ბოროდინო“, „ბუდაპეშტი“, „ჰავანა“, „მხატვარი გაბაშვილი“, „მხატვარი გერასიმოვი“, „აკადემიკოსი დავითაია“, „ბოლშევიკი კამო“, „აკაკი წერეთელი“, „აჭარა“, „მემედ აბაშიძე“, (ამ უკანასკნელს ახლა „ჯორჯია“ ჰქვია).

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მიერ წარგზავნილი იყო ქ. სტამბულში კაპიტან-დამრიგებლად, ბოსფორის სრუტეში გამავალი გემების ინსპექციის ჩასატარებლად. ქალაქ გლაზგოში (შოტლანდია) მუშაობდა საზღვაო-ტექნიკურ მენეჯმენტში (ნორბალკი Norbulk) საზღვაო სუპერინტენდატის თანამდებობაზე. ამზადებდა საქართველოს გემებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სამსახურებრივი მივლინებით იყო შვეიცარიაში ქალაქ ნიონში, ლონდონში, დუბაიში, სინგაპურში, სამხრეთ კორეაში, ბოსტონსა და ვაშინგტონში – სხვადასხვა საზღვაო საკითხების გადასაჭრელად.

1997 წლის ოქტომბერში საქართველოს საზღვაო-სანაოსნოს ხელმძღვანელობამ მიავლინა საბერძნეთის ქალაქ პირეუსში სამგზავრო-სატვირთო ბორანის – „მემედ აბაშიძის“ მისაღებად, სადაც იმუშავა ჯერ კაპიტნად, შემდეგ კაპიტან-დამრიგებლად.

1998 წლის 4 დეკემბრიდან 1999 წლის 24 ივლისამდე ტრანსპორტის მინისტრის მთავარი სახელმწიფო მრჩეველია საზღვაო დარგის განხრით.

1999 წლის 24 ივლისიდან კი საქართველოს საზღვაო ფლოტის რეორგანიზაციის საკითხებთან დაკავშირებით, საქართველოს მხრიდან წარგზავნილი იყო კვიპროსის რესპუბლიკაში, ქალაქ ლიმასოლში – „კოლუმბიის“ საზღვაო მენეჯმენტში, რომლის შემადგენლობაშიც გადავიდა საქართველოს ოფშორული ფლოტი. სადაც ცხრა წელი იმუშავა.

2008 წლის იანვრიდან კი ბ-ნი გელა დღემდე მუშაობს გერმანიის საზღვაო მენეჯმენტის გემებზე კაპიტან-გამომცდელად.

– ჩემი მოვალეობაა ახალი გემების მიღება ჩინეთსა და სამხრეთ კორეაში გემთსაშენებელი ქარხნიდან, და ამ გემებისა და ეკიპაჟის მომზადება უსაფრთხო ნავიგაციისათვის, – მეუბნება ბ-ნი გელა და თანაც ისე უბრალოდ, ჩვეულებრივად, თითქოს ან გემის მომზადება იყოს ადვილი და ან ეკიპაჟის,მითუმეტეს, როცა ეკიპაჟის წევრები შეიძლება სხვადასხვა, 4 ან 5 ეროვნების წარმომადგენლებიც იყვნენ – განსხვავებული ტრადიციებითა და უნარ-ჩვევებით, რომლებიც თავად ბ-ნმა გელამ ერთ საერთო მოთხოვნამდე უნდა დაიყვანოს – ურთიერთგატანის, მამაცობის, სწრაფი აზროვნებისა და თავგანწირვის. – თუ გემზე ორი ქართველიც კი არის, დანარჩენები სწორედ ამ ქართველიდან სწავლობენ სიმამაცეს, ერთმანეთის გატანას, თავგანწირვამდე მიყვანილ გმირობას, – სიამაყით მეუბნება ბ-ნი გელა, – ქართველი ამტანია წყალზეც, ისეთივე უშიშარია, როგორც ხმელეთზე, ისეთივე მეგობრულია, როგორც აქ, თავის სამეგობროში.

და რაოდენ გულსატკენია ჩვენთვის, ქართველებისათვის, რომ ქართველ ეკიპაჟებს სხვა ქვეყნების გემები დაჰყავს, ან საერთაშორისო ეკიპაჟებში არიან ქართველები. კარგი იქნება, თუ საქართველო გაძლიერდება ამ კუთხით – ყველაზე ადვილად ალღოს ნავიგაციას, ასტროლოგიას და საერთოდ, გარესამყაროს ქართველი უღებს.

ბ-ნი გელა სასიამოვნო მოსაუბრე აღმოჩნდა, ბევრ საინტერესო თავგადასავალსაც მოჰყვა. საუბარში ხშირად მადლობდა უფალს – უკიდურესად დაძაბული სიტუაციიდან მშვიდობიანად გამოსვლის გამო და კითხვაც შევაპარე – ღმერთის თუ გჯერათ – მეთქი. (ერთი შემომხედა და მივხვდი – უტაქტო შეკითხვა იყო) – მე თავად ჩემს მშობლებს ღმერთთან მშობლების მუხლმოყრილი თხოვნის შემდეგ შევეძინეო სამი წლის თავზე. მშობლები მორწმუნენი როცა არიან, როცა არცერთ „გიორგობას“ არ გამოტოვებენ, რომ წმინდა გიორგის სახელობის სალოცავს ცხვარი არ შესწირონ, სანთლები არ აუნთონო, თანაც კომუნისტების დროს, რაღა თქმა უნდა, ბავშვობიდანვე მაქვს ჩემს შეგნებაში ღმერთისადმი სიყვარული, კრძალვა და იმედიო.. და აი, რა მიამბო:

– კანადასა და ამერიკას შორის პატარა ყურეში შევდივართ. ჩვენი გემიდან, მეორე გემზე იტვირთება ტვირთი. ნოემბრის თოვლიან-ყინვიანი საღამოა. ქარიშხალი საშინელი. ტრაპზე გადასვლისას ტრაპი ძლიერმა ქარმაააყირავა და ყინულიან წყალში აღარ მახსოვს რამდენი ათეული მეტრის სიმაღლიდან ჩავვარდი. ამ დროს წყლის ტემპერატურა მხოლოდ +3, +4 გრადუსია. ადამიანი ასეთი ტემპერატურის წყალში 5 წუთზე მეტს ვერ სძლებს ცოცხლად. ვხედავ, ხსნა არსაიდან არის. შემთხვევით ჩემი ყვირილი გემზე გაიგო ერთმა და სანამ სხვას შეატყობინა, კარგა დრო გავიდა, სანამ თოკი ჩამოუშვეს, სანამ ჩემი ადგილსამყოფელიც გაიგეს, თურმე 20-25 წუთიც იყო გასული, როცა სამშვიდობოზე ამოვედი. ყველას ეგონა, რომ მე უკვე გაყინული ვიქნებოდი და მხოლოდ გვამის ამოტანასღა მოახერხებდნენ, მაგრამ რაოდენ გაკვირდნენ, როცა მე თავად, მხოლოდ თოკის საშუალებით, სხვათა დაუხმარებლად გემბანზე ავედი. ეს მართლაც ღვთის შემწეობა იყო. ეს რომ სხვა მეზღვაურებს მოუყვეთ, შეიძლება არც დაიჯერონ, რადგან ყველამ იცის, კაცმა ყინულიან წყალში 20-25 წუთი დაჰყოს, და ცოცხალი გადარჩეს, და თან ჯანმრთელი, ეს მხოლოდ ღვთის ნებითაა შესაძლებელი. იმ გემის კაპიტანს კომპიუტერულ თამაშებზე გართულს შევუსწარი – ფილიპინელი იყო,ამიტომაც იყო უყურადღებობა, თორემ გემზე ტრაპთან ყოველთვის ერთი კაცია დარაჯად, თანაც ტრაპი ისე უნდა იყოს დამაგრებული, რომ ვერაფერი ვერ უნდა არყევდეს.... თითქმის ყველა ტიპის გემზე ვარ ნამუშევარი, ყველგან ერთნაირი პასუხისმგებლობაა – ტანკერზე იქნები თუ სამგზავრო-სატვირთო გემზე. მთავარი წესრიგია. ერთადერთი ბუნებრივი აირის გადამტან გემზე არ ვარ ნამუშევარი, შემიძლია სამ თვეში გავიარო საჭირო პროცედურა და ლიცენზიასაც ავიღებ. ტანკერი ყველაზე საყურადღებო და საფრთხილოა, აქ შეიძლება ერთმა ნაპერწკალმა საშინელება გამოიწვიოს... მაგრამ, ვიცი, რომ ნებისმიერი სიტუაციიდან უნდა გამოვიდე გამარჯვებული...

რამდენადაც ვიცი, როცა ადამიანს მძიმე პროფესია აქვს, როცა სულით და გულით ეკიდება თავის საქმეს, არ უნდა თავის კვალს თავისიანი გაჰყვეს და ის მძიმე ხვედრი გაიზიაროს, რაც მას თავისი პროფესიის არჩევის გამო ერგო. საპირისპირო აღმოჩნდა ამ შემთხვევაში ბ-ნი გელას აზრი. თავის კვალზე ბ-ნ გელას ჯერ თავისი სიძე – დავით ხუგაშვილი წაუყვანია. - ორი თვე მგზავრად წავიყვანე, რომ შესჩვეოდა გემზე „ცხოვრებას“, – იხსენებს ბ-ნი გელა, შემდეგ – შემდეგ კი თავად დათოს გაუჩნდა სურვილი გემზე სამსახურისა და დღეს იგი კაპიტნის მეორე თანაშემწეა, შემდეგ უფროსი თანაშემწე გახდება და გემის კაპიტნობამდე რაღა რჩება? ერთი ნაბიჯიღა... ასეთივე სურვილი აქვს ჩემს შვილიშვილს – გიორგი უნაფქოშვილსაც, ჩემს სეხნიას. იგი მომავალ წელს ამთავრებს სკოლას და პროფესიაც არჩეული აქვს – გემის კაპიტნობა. ისე კახელებს არ „გვეხერხება“ ამ პროფესიისკენ სწრაფვა, ამიტომაც მოვიფიქრე და მინი-საზღვაო მუზეუმის გახსნა მინდა მომავალ, 2012 წელს ჩემი საკუთარი სახლის მეორე სართულზე სოფელ პატარძეულში. საქართველოში არ არის საზღვაო მუზეუმი. საზღვაო კლუბი იყო, მაგრამ შემდეგ დაიშალა. „პროპაგანდა-აგიტაციაში“ ნუ ჩამითვლით, მაგრამ პეტრე I თავადობას აძლევდა გემის კაპიტნებს. კაპიტნობამდე მისვლა ადრე ადვილი არ იყო, გარკვეული საფეხურები იყო გასავლელი. 10-12 წელიწადში ახლა კაპიტანი ხდები, 27-ის და 28 წლის გემის კაპიტნებიც არიან ორნი. მე 33 წლის მოვალეობის შემსრულებელი ვიყავი. სწორედ ეს ასაკია კარგი, რადგან უკვე გამოცდილება, პრაქტიკა გაქვს მიღებული... იმასაც უნდა მიეჩვიო, რომ 5-6, და იქნებ 12 თვეც ზღვაში, ოჯახიდან მოწყვეტილმა გაატარო. ადრე არ იყო ტექნიკა ასე განვითარებული, ახლა ტელეფონით ყოველ წუთს შეგიძლია ოჯახთან კავშირი..

ბ-ნი გელა უნაფქოშვილი სხვადასხვა ორგანიზაციების წევრია, ასე, მაგალითად, საზღვაო ინსტიტუტის წევრი (ქ. ლონდონი), საერთაშორისო გემის კაპიტანთა ფედერაციის წევრი (ქ. ლონდონი), საერთაშორისო გემის კაპიტანთა ფედერაციის ტექნიკური კონსულტანტი და საზღვაო ექსპერტი (ქ. ლონდონი,) საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ნამდვილი წევრი (ქ. თბილისი)

ჰყავს მეუღლე – ნელი ენაგელი და ორი ქალიშვილი – ნინო და დიანა. ოთხი შვილიშვილი – გიორგი, ჰენრი, ელენე, გეგა.

ბატონმა გელამ 1 ოქტომბერს დატოვა საქართველო და შორეული ნაოსნობის გზას დაადგა. როგორც ზღვაში გასულს ეტყვიან – ზურგის ქარი და მშვიდობით დაბრუნება ვუსურვოთ ქართულ მიწაზე, მშობლიურ პატარძეულში, სადაც ამ ზაფხულს თავის მეგობრებთან ერთად რამდენიმე მამა-პაპისეული სალოცავი და ეკლესია ხელებდაკაპიწებულმა აღადგინა და გაარემონტა.

***თინა ილაური***

ციმბირული წყლული

# რამდენად სახიფათოა ჯილეხი?!

ჯილეხი (ციმბირული წყლული) ყველა შინაური და გარეული ცხოველის, აგრეთვე ადამიანის განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებაა. მისი დამახასიათებელია სეპტიცემია, მძიმე ინტოქსიკაცია და კარბუნაკულების წარმოქმნა.

ციმბირის წყლულის გამომწვევია ჯილეხის ჩხირი, რომელსაც შეუძლია სპორების წარმოქმნა, რომელთაც განსაზღვრულ პირობებში ნიადაგში გამრავლების უნარი აქვთ და შეუძლიათ თავისი ცხოველმყოფელობა და ვირტუალური თვისებები ათეულობით წლებით შეინარჩუნონ. ამიტომ დაინფიცირებული ნიადაგები ხანგრძლივი დროით რჩება ინფექციის აღმძვრელის კერად. დაავადებულ ცხოველებში ციმბირის წყლული გენერალიზებული მეთოდით მიმდინარეობს, რაც ცხოველს რამდენიმე დღეში კლავს. ციმბირის წყლული, როგორც მძიმე დაავადება ცნობილია უძველესი დროიდან. იგი საკმაოდ გავრცელებული იყო იტალიაში, საფრანგეთში, საბერძნეთში, ესპანეთში. უფრო ხშირად ვრცელდებოდა თბილ ქვეყნებში, სადაც ნიადაგი ჰუმუსიანია.

თანამედროვე ვეტერინარიას ჯილეხთან ბრძოლის მრავალი მეთოდი გააჩნია. მისი საწინააღმდეგო ღონისძიებათა კომპლექსში შედის ამთვისებელი ცხოველების მთლიანი სულადობის იმუნიზაცია და ცხოველის დასენიანებისაგან დაცვა. პირველ რიგში დაავადების გაჩენის შემთხვევაში უნდა მოხდეს მისი სრული დიაგნოსტიკა არაკეთილსაიმედო პუნქტებზე (ეზო, ფერმერული მეურნეობა, ფირმა, დასახლებული პუნქტი, რაიონი), დაწესდეს კარანტინი, მოხდეს ეპიზოოტური კერის ლიკვიდაცია, ავადმყოფი ცხოველის ლეში, აღმძვრელებით დაინფიცირებული პროდუქტები და საკვების ნარჩენები განადგურდეს ან დაიმარხოს ღრმა ორმოში, რომელიც უნდა შემოიღობოს და იქნას დაცული. ასევე, უნდა განხორციელდეს დაინფიცირებული ბინების, ტერიტორიის და სხვა სანაცია.

ვეტერინარულ-სანიტარული ღონისძიებები ასევე ითვალისწინებს დაინფიცირებული ნიადაგის გაუვნებლობას იმ ადგილებში, სადაც ნამდვილად დადგენილია ჯილეხით მკვდარი ცხოველის ლეშის სამარხი, ასევე მუდმივი მეთვალყურეობის დაწესებას პირუტყვის თავშეყრის ადგილებში სანიტარულ მდგომარეობაზე, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე და ნედლეულის დამზადება-შენახვა-გადამუშავებაზე. სათანადო მკაცრ კონტროლზე უნდა იქნას აყვანილი ცხოველთა შიდასამეურნეო მიზნით დაკვლისა და ხორცის, ხორცპროდუქტების ადამიანისა და ცხოველების საკვებად გამოყენების შემთხვევები. ხორცის ლაბორატორიული გამოკვლევებისა და გადამდებ დაავადებაზე არაკეთილსაიმედო ცხოველის გადასაზიდად (გადასატანად) უნდა გამოიყენონ საჭირო, სპეციალურად მოწყობილი საშუალებები.

ვეტერინალურ-სანიტარული მოთხოვნების მკაცრი დაცვაა საჭირო საძიებო, სამშენებლო, ჰიდრომელიორაციული და მიწის სხვა სამუშაოების შესრულებისას, რაზედაც ნებართვას შესაბამისი რაიონის მთავარი ვეტერინარი ექიმი გასცემს.

ჯილეხის მხრივ ყველა არაკეთილსაიმედო და დაავადების მხრივ საშიშროების ქვეშ მყოფ ადგილებში მოსახლეობასთან დაავადების არსის, დასენიანების, გზებისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების შესახებ ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩასატარებლად გამოყენებული უნდა იყოს ადგილობრივი პრესა, რადიო და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები. ჯილეხის სპეციფიკური პროფილაქტიკა მდგომარეობს ამ ავადმყოფობის ამთვისებელი ცხოველის რეგულარულად აცრაში, ერთ-ერთი მიღებული ვაქცინით, იმ წესისა და ვადის დაცვით, რომელიც მითითებულია ვაქცინის გამოყენების ინსტრუქციაში.

არაკეთილსაიმედო პუნქტის ყველა ცხოველები იყოფიან ორ ჯგუფად: პირველი – ჯილეხით ავადმყოფი და დაავადებაზე საეჭვო ცხოველები (მაღალი ტემპერატურა, ტიმპანია, მეტეორიზმი, კარბუნკულიები,ინფილტრატები).; მეორე ჯგუფი – დასენიანებაზე საეჭვო ცხოველები, რომელთაც არა აქვთ ავადმყოფობის კლინიკური ნიშნები და იმყოფებიან იმ ნახირ-ჯოგში, ფარაში და ა. შ. სადაც დადგენილია ჯილეხი.

პირველი ჯგუფის ცხოველებს მკურნალობენ ჯილეხის საწინააღმდეგო შრატით, გამა-გლობულინით და ანტიბიოტიკებით. მეორე ჯგუფის ცხოველებს ცრიან ჯილეხის საწინააღმდეგო ვაქცინით.. ჯილეხის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური მიზნით იცრება ყველა ამ ავადმყოფობის ამთვისებელი ცხოველი, შემდეგი წესის მიხედვით:

მოზარდი მსხვილფეხა საქონელი, ცხვარი, თხა, ცხენი, წელიწადში 2-ჯერ, 6 თვის შუალედით, გაზაფხულზე და შემოდგომით.

ხბო, კვიცი, ბატკანი 3 თვის ასაკში, ხოლო შემდეგ 6 თვის ასაკში. (რევაქცინაცია) ღორი- წელიწადში ერთხელ, მხოლოდ სეირანული ან ბანაკური შენახვის დროს.

აუცილებელ ვაქცინაციას ექვემდებარება საშიშ ტერიტორიაზე განლაგებულ მეურნეობაში, დასახლებულ პუნქტში და ფერმაში ახლადშეძენილი ყველა ცხოველი.

დაუშვებელია და აკრძალულია – ლეშის გაკვეთა ჯილეხზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში. ვეტლაბორატორიაში იგზავნება მკვდარი ცხოველის ყური, რომელიც უნდა მოიკვეთოს იმ მხარეს, რომელ მხარესაც დევს ლეში. ჯილეხზე პათოლოგიური მასალის გამოკვლევით დადებითი შედეგის მიღებისას რაიონის მთავარ ვეტერინარ ექიმს გამოაქვს გადაწყვეტილება რაიონის (ქალაქის), დასახლებული პუნქტის ან მისი ნაწილის, მეურნეობის, ფირმის, ეზოს, საძოვრისა და ცხოველთა გადასარეკი ტრასის მონაკვეთის, მეცხოველეობის პროდუქტებისა და ცხოველური წარმოშობის ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოს არაკეთილსაიმედოდ გამოცხადებაზე და მათზე კარანტინის გამოცხადებაზე.

ავადმყოფი და დაავადებაზე საეჭვო ცხოველების მოვლა-პატრონობა უნდა განხორციელდეს სამედიცინო სამსახურთან შეთანხმებით. ჯილეხიანი ცხოველი ლეშის დამარხვა კატეგორიულად აკრძალულია და ასეთი ლეში უნდა დაიწვას.



იმ ბინაში, შენობაში და ა.შ. სადაც დაავადდა (მოკვდა) ცხოველი იაკის დეზინფექცია ტარდება 10%-იანი ნატრიუმის ცხელი ხსნარით, ხის იატაკები და ტიხრები უნდა დაიწვას. ნიადაგს აუსნებოვნებენ. დეზინფექციის ჩატარებისას და ნიადაგის გაუსნებოვნებისას მკაცრად უნდა იქნეს დაცული სანიტარულ-ვეტერინალური და პირადი უსაფრთხოების წესები.

ავადმყოფი და დაავადების მხრივ საეჭვო ძროხის რძე ისპობა გასნებოვნების შემდეგ. რძე გაუსნებოვნებლად ითვლება 6 საათის ექსპოზიციის შემდეგ. საკვების მიზნით რძის გამოყენების წესი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დადგენილი უნდა იქნეს ჯანდაცვის ორგანოების მიერ.

ვეტერინალური და სამედიცინო ორგანოები და მათზე დაქვემდებარებული დაწესებულებები ვალდებულნი არიან ჩაატარონ ეპიზოოლოგიური და ეპიდემიოლოგიური გამოკვლევები ინფექციის წყაროს დადგენისათვის, დასახონ დაავადების სალიკვიდაციო ერთობლივი ღონისძიებები.

*საქართველოს სავეტერინარო კანონმდებლობისა (ტ I, 2004 წ.) მიხედვით მოამზადა*

***გივი დაბახიშვილმა***

---

საუბარი ექიმთან

# გრიპი წლის ყველა დროს ინარჩუნებს ვერაგობას

გრიპი იმდენად რთული,საშიში დაავადებაა, წლის თითქმის ყველა დროს უამრავ პრობლემას გვიქმნის. სწორედ ამ პრობლემებზე,გრიპისაგან გამოწვეულ გართულებებზე გვესაუბრება დღეს ექიმი ინფექციონისტი **მარინა იმნაძე:**

***– ქალბატონო მარინა, ჩვენი გაზეთის მკითხველს შევახსენოთ, რა გზით ვრცელდება გრიპი.***

– გრიპი მოგეხსენებათ,ჰაერწვეთოვანი გზით ვრცელდება, ხველის, ცემინების ან ლაპარაკის დროს. ინფექციის წყაროა დაავადებული ადამიანი, რომლის გარშემო, დაახლოებით ერთი მეტრის რადიუსში, მოკლე-მოკლე ინტერვალით, ვირუსების დიდი ოდენობა იფრქვევა. ავადმყოფობა გადამდებია ინკუბაციური პერიოდის ბოლოსაც. მაქსიმუმს იგი დაავადების პირველ-მეორე დღეებში აღწევს, ხოლო ერთი კვირის შემდეგ გადამდები უკვე აღარ არის. მაგრამ, ყოველთვის გვახსოვდეს, რომ ყველაზე საშიში მსუბუქი ფორმით ავადმყოფები არიან, რომლებიც აქტიურ ცხოვრებას განაგრძობენ და გარშემომყოფებს ისე ასნებოვნებენ, თავადაც ვერ აცნობიერებენ.

***– რა კლინიკური გამოვლინებები ახასიათებს გრიპს, რომელსაც ხშირად ყურადღებასაც არ ვაქცევთ – გრიპია?! გამივლის! – ვამბობთ და ვაგრძელებთ ჩვენს ყოველდღიურობას.***

– რა თქმა უნდა გრიპს აქვს სხვადასხვა გამოვლინება, მაგალითად: ცხელება, ამ დროს დამახასიათებელია ტემპერატურის მომატება, შემცივნება, ოფლიანობა. მსუბუქი მიმდინარეობისას სხეულის ტემპერატურა 38 გრადუსზე ზევით არ იწევს, რომლის ხანგრძლივობა შეიძლება 1-2 დღე იყოს. საშუალო სიმძიმის მიმდინარეობისას კი ტემპერატურის ხანგრძლივობა დაახლოებით 3 დღეს გრძელდება. მძიმე მიმდინარეობისას ტემპერატურა 40 გრადუსს აღწევს და 4-5 დღეს გრძელდება. ინტოქსიკაცია ვლინდება საერთო სისუსტით, ოფლიანობით, კუნთებსა და სახსრებში ტეხვის შეგრძნებით, რასაც თან სდევს თავის ტკივილი, ასევე, თვალების ტკივილი. მომატებულია აპათიურობა, გაღიზიანებულობა, გემოს დაკარგვის შეგრძნება. იმ დროს, რაც შეეხება კატარალურ მოვლენებს, აღინიშნება რბილი სასისა და ხახის უკანა ნაწილის, ცხვირის სურდოთი, ხველით, ცრემლდენით და ა. შ.

***– და, რითია საშიში ადამიანის ჯანმრთელობისათვის გრიპის გართულებები?***

– საკმაოდ საშიშია. მაგალითად, რინიტი,ანუ ცხვირის გასავლების ლორწოვანი გარსის ანთება – საწყის პერიოდში მისთვის დამახასიათებელია ცხვირიდან უხვი, თხევადი, ლორწოვანი გამონადენით. ბაქტერიული ინფექციის შემთხვევაში გამონაყოფი სქელდება, შეიძლება, მომწვანო ფერიც მიიღოს; ჩირქოვანი ხასიათის არის და უსიამოვნო სუნი ახასიათებს, რაც იმდენად შემაწუხებელია ადამიანისათვის, რომ იგი კარგა ხანს დისკომფორტს შეუქმნის ადამიანს. გრიპის ერთ-ერთი გართულებაა ფარინგიტი, ანუ ყელის ანთება, რომლისთვისაც დამახასიათებელია ფხაჭნის შეგრძნება ყელში..., ზედაპირული, მაგრამ შემაწუხებელი ხველა; ტრაქეატი, ანუ ტრაქეის ანთება, რომლისთვისაც დამახასიათებელია სველი ხველა, ტკივილი მკერდის არეში; ბრონქიტი, ანუ ბრონქების ანთება – სველ ხველასთან ერთად გამოიყოფა ნახველი და ფილტვების სუნთქვის დროს ვლინდება ხიხინი; პნევმონია, ანუ ფილტვების ანთება, რაც უკვე მეტად საყურადღებო, მძიმე დაავადებაა.

***– როგორ მოქმედებს გრიპი ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე?***

– დიახ, გრიპის მძიმე მიმდინარეობის დროს არ არის გამორიცხული ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება, რომელიც ვლინდება მენინგალური სიმპტომებით, ენცეფალოპიით, თავის ტვინის შეშუპებით.

***– მაგრამ თუ გართულებების გარეშე მიმდინარეობს გრიპი?***

– ასეთ შემთხვევაში, პირველი სამი დღის განმავლობაში სხეულის ტემპერატურა ნორმალურია, ხოლო მეოთხე დღეს გამოჯანმრთელება იწყება, მაგრამ არ უნდა დავუშვათ მისი შემდგომი გართულებები.

***– მკურნალობაზე რას გვეტყვით?***

– გეტყვით, რომ გრიპის მკურნალობა სიმპტომურია. ანტიბიოტიკის დანიშვნა მიზანშეწონილია მხოლოდ ექიმის მიერ. მაგრამ, ყველა შემთხვევაში, აუცილებელია წოლითი რეჟიმი, გარშემო მყოფებისაგან იზოლირება. მძიმე ფორმის დროს კი, გართულებების შემთხვევაში აუცილებელია ჰოსპიტალიზაცია. რომ არ მოხდეს ზამთრისათვის იმუნიტეტდაქვეითებული შეხვედრა, გავიძლიეროთ ორგანიზმი. შემოდგომა სავსეა ხილით, ახალი ბოსტნეულით, ვიტამინებით. ვეცადოთ მეტი ხილი მივიღოთ.

***– რას გვირჩევთ, როგორ შეიძლება თავის დაზღვევა გრიპისაგან, მითუმეტეს ზაფხულიდან შემოდგომაზე გარდამავალ პერიოდში გრიპით დაავადების ალბათობა იზრდება.***

– თუ გინდათ გრიპისაგან თავის დაღწევა, უპირველესად, მოერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს, ხშირად გაანიავეთ ოთახები, დაალაგეთ სველი წესით. მიირთვით ნიორი, ხაჭო, სვით ბალახების ნაყენი. გრიპის დროს კი იკვებეთ ახალი ბოსტნეულით, ხილით. მიიღეთ ვიტამინები, კერძოდ კი „C" ვიტამინი. ამ დროს მოერიდეთ ცხიმიან საკვებს. რეკომენდირებულია მხოლოდ ქათმის ბულიონი. აუცილებელია დიდი რაოდენობით სითხის მიღება. დალიეთ ლიმონიანი ჩაი, კომშის კომპოტი ან ასკილის წვენი, კარგია ინჰალაციის ჩატარება და ყელში მარილიანი წყლის გამოვლება.

***– ქალბატონო მარინა, თქვენ სასწრაფო გადაუდებელ სამედიცინო სამსახურის ექიმიც ხართ. ამდენად ალბათ ყველაზე კარგად სწორედ თქვენი სამსახურის მედპერსონალმა იცის, როგორი იყო გასული სეზონი. თუ გქონდათ შემთხვევა ე.წ. „ღორის გრიპით' დაავადებულთან ბინაზე გამოძახების?***

– ზამთარსა და გაზაფხულზე გვქონდა ერთი-ორი შემთხვევა, თუმცა, არც ზაფხული იყო ამ მხრივ 'მოსვენებული" ენტერო ვირუსული დაავადებისაგან, რაც ზოგიერთ შემთხვევაში სასმელ წყალს ბრალდებოდა. ამჯერად გირჩევთ, ყველანაირად ეცადოთ თავი დაიზღვიოთ გაციებისაგან და გრიპისაგან, რათა დაუძლურებული ორგანიზმით არ შეხვდეთ კარს მომდგარ ზამთარს.

***ესაუბრა თინა ილაური***

## მილოცვა



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა დაბადების დღეს ულოცავს საქართველოს პარლამენტის წევრს ბ-ნ **ზაზა გულიაშვილს**, უსურვებს სიკეთეს, სიხარულს და წარმატებებს იმ საქმიანობაში, რასაც თავის კოლეგებთან ერთად საქართველოს კეთილდღეობისათვის ახორციელებს.

### დაბადების დღეს გილოცავთ ბატონო ზაზა!

გაიხარეთ თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად. ღმერთმა დაგლოცოთ და მოგცეთ ძალა გაჭირვებულთა თანადგომისა. უფალი გფარავდეთ!

*მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს თანამშრომლები*

# „რთველი – 2011“ დაიკრიფა საფერავი, იკრიფება რქაწითელი

„რთველი – 2011“-ის ორგანიზებულად ჩატარებისათვის შექმნილი რაიონული შტაბის უფროსის მოადგილის დავით ბაკურაძისგან მიღებული ინფორმაციით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკვე დაკრეფილია საფერავის ჯიშის ყურძენი და მათგან 2189 ტონა და 940 კილოგრამი გლეხების მიერ ღვინის გადამამუშავებელი ქარხნებისთვისაა მიყიდული.

11 ოქტომბრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში იკრიფება რქაწითელის ჯიშის ყურძენი და შპს „კახეთი-3000“-ისთვის მიყიდულია 193 ტ. 950კგ.

რთველი კვლავ გრძელდება



# ულელი გაუტეხელი

## უხუცესთა ოჯახის 71 წლის იდილია...

*მეოთხე გვერდიდან*

ისთავის საზეიმო ღონისძიებაზე, რომელიც პატარძეულის „გმირთა სავანეში“ დიდი სამამულო ომის მონაწილე საგარეჯოელი ვეტერანების მონაწილეობით გაიმართა, ერთ-ერთი ოპერატორი გააკვირვა ორდენებითა და მედლებით „მკერდდახუნძლულმა“ მოხუცმა. ორმაგად გაკვირვებული დარჩა იგი, როცა შეიტყო, რომ ეს კაცი წელში ორდენებ-ის სიმრავლეს კი არა, მთელი საუკუნის წელთა სიმრავლეს მოეხარა. არ ვიცი რამდენად გაკვირვებული დარჩებოდა იგი, თუ იმასაც შეიტყობდა, რომ ბატონი გიორგი ერთ-ერთი იმათგანიცაა, ვინც ოჯახური ცხოვრების უღელს მთელი 71 წლის მანძილზე ასე ერთგულად და უღალატოდ ეზიდება. ჩემი კოლეგის რა მოგახსენოთ და მე კი დარწმუნებული ვარ ამ მხრივ, რომ რაიმე ჯილდო, რომ იყოს დაწესებული, ერთ-ერთი პირველი ეს ოჯახი მიიღებდა. ჯანმრთელობას, ბედნიერებას, გახარებას და კიდევ დიდი ხნის სიცოცხლე ვუსურვოთ რაიონის უხუცეს მეომარსა და მის ოჯახს.

***გივი დაბახიშვილი***



2011 წლის სექტემბერი.

### 1 ოქტომბერს აღინიშნა ხანდაზმულთა საერთაშორისო დაცვის დღე

# საგარეჯოს ხანდაზმულთა სოციალურ ცენტრში



საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საგარეჯოს ფილიალს (ხელმძღ ცისმარ პეტრიაშვილი) და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხანდაზმულთა სოციალურ ცენტრში ზეიმით აღინიშნა ხანდაზმულთა საერთაშორისო დაცვის დღე – 1 ოქტომბერი. ზეიმზე მოსულ ბენეფიციარებს ეს დღე მიულოცა, ხანგრძლივი სიცოცხლე და უკეთესი მომავალი უსურვა ქ-ნმა ცისმარ პეტრიაშვილმა. ბენეფიციარებს ასევე მიესალმა, კეთილი მომავალი უსურვა ცენტრის მენეჯერმა მაია ალექსიშვილმა.

ზეიმზე ბენეფიციარებმა წაიკითხეს ლექსები, იმღერეს. ღონისძიება გაალამაზა და უფრო შთამბეჭდავი გახადა ნინოწმინდელი სახალხო მთქმელის შალვა ოკინაშვილის ლექსებმა, მისი თანასოფლელის, შალვა ახვერდაშვილის ჩონგურზე დამღერებულმა და მარინა ურდულაშვილის სტუდიის ბავშვთა ანსამბლის სიმღერებმა. ცენტრის ბენეფიციარებს ეს დღე მიულოცა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ალექსანდრე ელერდაშვილმა. მოეწყო ალაფურშეტი.

საგარეჯოს ხანდაზმულთა სოციალურ ცენტრში ჩატარებული ეს დღე კიდევ ერთი ნათელი რგოლი გახდა იმ ჯაჭვისა, რასაც დანიის წითელი ჯვრის ქ. ალბორგის ფილიალთან დაძმობილებული ამ ცენტრის მესვეურები საგარეჯოს მუნიციპალიტეტისა და დანიის მხარის მხარდაჭერით ახორციელებენ ჩვენი ხანდაზმული და ლტოლვილი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და სოციალური რეაბილიტაციისათვის.

***გივი დაბახიშვილი***

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
577 951 488

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა, საკრებულო, საკრებულოს დეპუტატები, თანაგრძნობას უცხადებენ გელა კევლიშვილს მამის

**ვალერიან კევლიშვილის**

გარდაცვალების გამო.